კვლევითი
ინსტიტუტი
Gnomon Wise

კავკასიის ეკონომიკის ყოველთვიური მიმოხილვა

აპრილი 2024



წინასწარი მონაცემებით, 2023 წელს კავკასიის ეკონომიკის ზრდა 4.4%-ია. 2022 წელს კავკასიის ეკონომიკური ზრდა 7.8%-ს აღწევდა. გასულ წელს ეკონომიკური ზრდის ტემპის კლება რუსეთიდან ადამიანური და ფინანსური კაპიტალის ნაკადების შემცირებასა და წინა წელთან შედარებით, ნავთობის დაბალ ფასებს უკავშირდება. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ზრდამ 7.3% შეადგინა.

- წინასწარი მონაცემებით, გასულ წელს საქართველოს ეკონომიკა 7%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ეკონომიკის ზრდამ 7.7% შეადგინა. ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი მრეწველობის, მშენებლობის, ტელეკომუნიკაციების და ტრანსპორტის სექტორებმა შეიტანა. კლების ტენდენცია ენერგეტიკის სფეროში დაფიქსირდა.

- კავკასიის რეგიონში ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით სომხეთი გამოირჩევა. გასულ წელს სომხეთის ეკონომიკა 9.4%-ით გაიზარდა. 2024 წლის იანვარ-თებერვალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, ეკონომიკა 13.6%-ით გაფართოვდა. სომხეთის ეკონომიკურ ზრდაში განსაკუთრებული წვლილი სავაჭრო სექტორს აქვს, რომელმაც ამ პერიოდში 24.1%-ით მოიმატა, ხოლო სამშენებლო დარგმა კი - 10.8% -ით.

- რეგიონში ზრდის ყველაზე დაბალი ტემპი აზერბაიჯანში დაფიქსირდა. 2023 წლის განმავლობაში აზერბაიჯანის ეკონომიკა 1.1%-ით გაიზარდა. მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ზრდამ 5% შეადგინა. აზერბაიჯანის ეკონომიკის 36.2% ნავთობისა და გაზის ინდუსტრიას უკავია. ამ ინდუსტრიის გარეშე, ზრდის ტემპმა 10.1% შეადგინა.

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკა



ინფლაციის მაჩვენებელი კავკასიის რეგიონში, ძირითადად, ეკონომიკური ზრდის ტენდენციებს იმეორებს. საუკეთესო მდგომარეობა სომხეთშია, ხოლო შედარებით მაღალი ფასების დონის ზრდა საქართველოში დაფიქსირდა.

საქართველოში 2023 წელს ინფლაციის ტემპი, წინა წელთან შედარებით, შემცირდა. 2024 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 0.5% შეადგინა. მარტის ინფლაციაში მაღალი წვლილი ტრანსპორტის ფასებმა შეიტანა, რომელიც 8.1% - ით გაიზარდა. თუმცა, რიგ სექტორებში ფასების კლება დაფიქსირდა, მათ შორის, სურსათის ფასები ყველაზე მეტით, 3.4%-ით შემცირდა. ამ ფონზე, ცენტრალურმა ბანკმა ბოლო გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი 8.25%-მდე შეამცირა.

რეგიონში ფასების დინამიკით სომხეთი გამოირჩევა. მიმდინარე წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიური კლება 1.2% იყო. ყველაზე მაღალი, 9%- იანი ზრდა ტრანსპორტის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო 5.6%-იანი კლება სურსათის ფასებზე. ეს კი სამომხმარებლო ფასების ძირითადი ნაწილია. სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება 2023 წელს დაიწყო. ბოლო გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი 8.5%-მდე შემცირდა.

აზერბაიჯანში ინფლაცია დასტაბილურდა. 2024 წლის მარტში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ზრდამ 0.4% შეადგინა. თებერვალში ინფლაცია 0.8% იყო. აზერბაიჯანი რეგიონში შედარებით მაღალი ინფლაციით წინა პერიოდებში გამოირჩეოდა. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკი პოლიტიკის გამკაცრებისგან თავს იკავებდა. მარტში მიღებული გადაწყვეტილებით პოლიტიკის განაკვეთი 7.5%-მდე შემცირდა.